



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 65

2011 წლის 27 მაისი  
ქალაქი ხაშური

## ქალაქ ხაშურში მშენებარე საავადმყოფოსთვის მერაბ მათიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ქ. ხაშურში და დაბა სურამში მცხოვრები მოქალაქეების კოლექტიური განცხადებები ( დაახლოებით 500 ხელმოწერა), სადაც მოქალაქეები ითხოვენ, რომ ქ. ხაშურში მშენებარე საავადმყოფოს ეწოდოს ამ საავადმყოფოს ყოფილი მთავარი ექიმის, შესანიშნავი პედიატრის და გამორჩეული ადამიანის მერაბ მათიაშვილის სახელი. საკრებულო ითვალისწინებს რომ საავადმყოფოს აშენებს კერძო კომპანია „აისი ჯგუფი“ რომელიც უფლებამოსილია მის საკუთრებაში არსებულ საავადმყოფოს სახელდებაზე, ამის გათვალისწინებით

1. ეთხოვს კომპანია „აისი ჯგუფს“ ხაშურში მათ მიერ აშენებულ საავადმყოფოს ეწოდოს მერაბ მათიაშვილის სახელი;
2. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე